

ძმად დავით, დიდი დავიდარებით, დიდი, გურიაში რომ იტყვიან, „ბელა—ოლლასინით“ რეველში მოვაწიე, აქ „გადაცვლის“ საკითხი და როგორ მოთავდება საქმე, დღეს პირველ საათზე მეტყვიან, თუ მომიხერხეს, დღესვე ღამის თორმეტზე მატარებლით გავემგზავრები პეტროგრადში და მე მგონი ამით საზღვრების თავზე გაწვალებას ბოლო მოვღებ, ისე საზღვართა შინა ჩვენი მგზავრობა კეთილი და მშვიდობიანი იყო ყველგან, ოღონდ ერთი დღე ნეპტუნმა (სამ დღეს ვმგზავრობდით ზღვით) გუნება წაგვიხდინა. თუმცა ჩვენ არც ისე მძიმედ, როგორც ჩვეულებრივ ხოლმე ხვდება. ბერლინში სტუდენტებმა მთხოვეს, ლექცია ან მოხსენება წამეკითხა, ქართველ სტუდენტებმა, მე დრო არა მქონდა, ცოტა შეცვლით პარიზში წაკითხულის გამეორებას დავთანხმდი, ათიოდე მსმენელს ველოდი და ჩემ ოთახში საყოფად ვრცელში წაკითხვას უაპირებდი. სტუდ-მა შემატყობინეს, მეტი დაესწრებაო და საელჩოში მომიწვიეს, ოცდაათამდე მსმენელი იქნებოდა, მაგრამ ჩემი მოწაფე სიმ. ყაუხჩიშვილი, გიორგი მონაზონის ტექსტის გამომცემელი, ვერ დაესწრო, და მისაკო წერეთელი, იგიც აქ ყოფილა, შემთხვევით თუ „მძღაგრ“ შემოსულიყო მოწვეულთა შორის. რაღაც უკმაყოფილება ყოფილა საელჩოსა და სტუდენტობის ერთ ნაწილს და აგრეთვე უნივერსიტეტის გამოგზავნილთ შუა. ყოველ შემთხვევაში ახმეტელმა ჩვეულებრივი გულკეთილობა გამოიჩინა და ყველა საჭირო საბუთებით შემზღუდა, მისი დიდი მადლო-

ბელი ვარ. ამ წერილს საბარათო ყუთში ჩავაგდებ, როცა შევიტყობ ჩემი გამგზავრების ნებადართვას ვისგანც ჯერ არს. გულითადი მოკითხვა ჩვენებს ყველას. Raspail-ის ძეგლზე ამოკვეთილს ახალგაზრდებმა სინამდვილეში სასიცოცხლო გზა მიეცით და გაუფართოვეთ: „à la science vers laquelle tout n'est que la folie“, ოღონდ „la science“ მარტო ბუნებისმეტყველებას არ ვრაცხ, ყოველი ცოდნა ჭეშმარიტი მეცნიერება არის, და განახლოვნება მეცნიერებისაგან გამოიკლება.

სიყვარულით და ჩემი ცოლისაგან მოკითხვით ნ. მარრი.

* * *

Leipzig, Roßstrass 14
Hospiz Hotel, 3,
5. XI. 22.

ძმაო დავით, ახლა მეძლევა გზა წერილითვე მოგმართოთ. კიდევ ვიშოვე თავი ბასკურში გასართობათ, მივემგზავრები ისპანიაში, თუ პასპორტი მომაწოდეს და საზოგადოთ ნება დამრთეს გადაღმა ბასკეთში შესასვლელათ, მაგრამ პარიზში მაინც ჩამოვალ, sauf—conduit-ი უკვე ჯიბეში მაქვს და ჩამოვხტები ისევ Hôtel de Lond Res-ში (Rue Bonaparte) თუ აღვილი მეშოვა: აქ კიდევ სამიორდე კვირას დავრჩები, ვერთობი წიგნსაცავში... ბევრი რამ ახალი გამოჩნდა, მთელი პირენეთა ნახევარკუნძული კი არა, საფრანგეთიც როგორც შუახმელეთურ ზღვის კიდენი იაფეტოვანებით დასახლებული აღმოჩნდა, შეზვედრისას მოვილაპარაკებთ. თანამშრომელი არ.მყავს და ეს მაწუხებს, თუმცა ზოგი ახალი მოწაფე აღმომიჩნდა პეტროგრაღში. ჩემი ცოლი სალამს გიგზავნის, ღია წერილი მოგვაწოდე, თუ პარიზში ბრძანდებით და მშვიდობით ხართ.

თქვენი ერთგული

ნიკო მარრი.

* * *

Prof. N. Marr Leipzig,
Roßstrasse 14.
Hospiz Hotel

14.XI.22

საყვარელო ძმაო დავით, სულ მავიწყდება, რომ ზურგზე მალე სამოცი წლის სიმძიმე დამაწვება და ძმათ გიწოდებთ, ოდეს თქვენ-

დანი ბაბუობა თუ არა, მამობა შემეფერებოდა ხნით. მადლობელი ვარ ჩქარი პასუხისათვის და კიდევაც გვასიამოვნებ რომ პარიზში ბრძანებულხართ და მუშაობით თავის რჩენას ძლებულობთ, მაგრამ ვაი თუ იძულებული ხართ და თქვენ საყვარელ საქმეზე ხელი აგაღებიათ სარჩოს საშოვარ მუშაობამ. მოსამზადებელ საქმეზე — მადლობელი ვარ წინადადებისათვის — ჩვენი ნათესავი მივმართეთ, ჩვენი ბინის (ადრინდელის) შოვნა ვთხოვეთ, თქვენთან კი სხვა სათხოვარი ამიჩნდა ახლა და ძალიან დამავალბეთ თუ შემიტყობთ და დაუყოვნებლივ მომწერთ ამბავს თუნდ ღია წერილით. პროფ. ადონცს წერილი მივსწერე ადრესით (აგრე მქონდა შემოთვლილი) 3 de l'Ecole de Mars, Neuilly ნოემბრის სამს რიცხვს და პასუხი დღესაც არ მიმიღია, სხვათა შორის ვსთხოვე monseigneur Graffin-ის ადრესი (Patrologia orientalis-ის გამომცემელია), ან წერილი ჩემი დაკარგულია ან (ადრესი მართალი უნდა იყოს, თუმცა აგეთ ქუჩას ჩემ პარიზის პლანზე ვერ ვპოულობ) სადმე გამგზავრებულა, გენაცვალე, გამიგე ბინაზე დაკითხვით. თქვენი ერთგული მარათ

ნ. მარია.

* * *

4. XII. 22

3 Rue Bonaparte, Hôtel de Londres

პატივცემულო და საყვარელო ბ-ნო დავით, ან ჩემი წერილი არ მოგსვლიათ, ან ალბათ სადამოებით თავისუფალი არ ბრძანდებით და გატყობინებთ, რომ დილას თორმეტს საათზეც თუ მობრძანდებით ერთმანერთს ვინახულებთ.

თუ ავით ბრძანდებით, შემატყობინეთ ისიც წერილით.

ნაკო მარია.

* * *

19. 4. 23.

საყვარელო დავით,

ენახე ბასკეთი, მზარე კეკლუცი,
თავაზიანი, არ თუ ტუტუცი,
ყველა ლამაზი, ვაჟი, ბებრუცი:
ფრიდონის წილი მომავონა შე.

40 3. მარგველაშვილი

145

განსაცვიფრებელ — მანდილოსნები,
ციო მონაფრენი თითქო მგოსნები:
შაეგვრემანი თუ წაბლ-თეთროსნები
ერთპირ მეგონა ვარლთა კონა მე.

ირგვლივ ზღვა ცის თუ იისაფერი
ზღვის მეტოქი მთა, ლაქვარდი სერი.
ამ სამოთხეში გამიქრა მტერი,
ყველა მეგობრათ მომეწონა მე.

ხვალ სოფელში მივემგზავრებით. მეუღლე ჩემი მოგიკითხავს.
ჩვენი გულითადი სალამი ქ-ბ. სოლოროვისას და ბ-ნ გუდიაშვილს.

ნ. მარტი.

26.V.23

საყვარელო ბატონო დავით,

ძალიან მასიამოვნეთ თქვენი წერილით, სულზე მომისწართ, თუმცა თარგმანის შემუშავებით დაბორკილი არსად არ მივესწრაფები. ბ-ნ ანტონ ყორჯოლიანის თანამისაყოლი ბელნაწერთან წერილი უკვე დავიწყე, სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ თქვენი მეშვეობით ვისწრაფი ჯერჯერობით ვაცნობო: დღეის დღემდე ნახევარის შემუშავებას მოუხდი და ახლავე მოამზადების სტამბაში

ჩემი ტრანსკრიპციის ასოები— q, q, შ, შ, d, d გ და სხვა (სია დატოვებულია მის ხელში), ყველა ასო არ დასჭირდება, მაგრამ ბევრი, უმეტესობა შ და შ, არის აგრეთვე შ, ეგ სულ ბერძნული ასოა. შ იყოს გინდა სტამბაში იქნება ეპიგრაფიული v სულ ერთია, ოღონდ ერთი მარტივია მ = თ და სხვა რთული ბგერა v = ც და შ = ჩ, აგრეთვე ბერძნული ψ = ფ, რუსული III = შ (იგივე III ეტრუსკულიც არის ან ფრანგული III გადააბრუნონ, პირალმა დასვან) და სხვა ამ გვარი, ხელნაწერშიც ვნიშნავ, კიბადონზე, როცა გადააწერიებს, კორექტურა ჩემ გასწორებულ პირს შეადარონ, თორემ გადამწერი ისევ ძველს ან უფრო უკმაკურს წამოაყენებს.

რაც შეეხება თქვენს დაკითხვას, თქვენზე მიმინდვია ყდის სახე და ფერიც და მოწყობაც, წინდაწინ მაძღობას ვიხდი, რომ ამასაც ყურადღებას აქცევთ. თუ ჩემი წოდებების გამოქვეყნებას

სასურველათ იჩნევთ, ეგრე იყოს, მხოლოდ სახელი შრთლივ და-
ბეჭდეთ: Nicolas და არა შემოკლებით, როგორც რუსულში, მაშ
Nicolas Marr. მაშ მიხედვით იმისა, თუ წოდებით დაბეჭდავთ თუ
უწოდებოთ, სათაური ან ისე იქნება ან ასე, როგორც მარჯვნივ
ცალიერ გვერდზე ამ წერილის, შემდეგ გვერდზე გამოწყავს (მოხე-
ულია ცალკეთ). ვრცელი თუ აირჩიეთ, იქნება „Publication... en
France“ გამოსტოვებთ ან პირიქით conférence faite ჩაუმატებთ
à Paris, თქვენ გემოზე და პირობების მანდაურ ცოდნაზე მომი-
ნდება. ოლონდ შეცდომებს ნუ მათქმევინებ, განსაკუთრებით თვით
დედანში. მოკითხვა ცოლისგან, მეც და ცოლიც გულითად სალამს
გუძღვნით ქ-ბ სოლოროვას.

მუდამ ერთგული ნ. მარრი.

დაპირებულ სტატიაზე, არა ჭამაზეც ვერ ვიცლი ამ თარგმანის
გამოისობით. იგივე.

(ყდაზე იქნება შემოკლებთ, მაგრამ როგორც თქვენ ჯერ იჩნთ)

* * *

7 ივნისს ბერლინი.

ბატონო დავით,

ჩემი ლექციის ქართულ დედანს ვაბარებ გამოსაგზავნათ ისეთ
პირს, მანდილოსანს, რომლისთვის უფრო ხელსაყრელია თქვენ
ადრესზე გამოაგზავნოს. ქართულ დედანსაც სჭირია პატრონობა,
თუ დასტურ გამოცემას აპირებთ, თორემ ვთხოვ ნუ დამიჭერთ,
უკვე დამიბრუნეთ ჩემი პეტროგრაღის ადრესით (B.O., 71, A. 2,
KB. 17), ენის მხრით გადაათვალიერეთ ს. ფირცხალავას. მე
დრო არ მქონდა, აქ სუ დასალუპავ ვიზას და სხვა სასამზღრო საქ-
მეებს მოვუნდი. ფრანგულის ვითარება უფრო მაწუხებს, რადგან
ჩემი შესწორებებით გადაწერას უბრალო მაშინის ხმარებაში გა-
ვარჯიშებული ადამიანი ვერ იქს, გვერდზე უნდა უღვეს საქმის
მცოდნე და დაინტერესებული ვინმე. ბ-ნ ანტონ ყორჯოლიანს
დიდი თავდადებული მონაწილეობის მიღება სჭირია, არ ვიცი მო-
ეხერხება თუ არა ამდენი დროის ამ საქმეზე გადადება. და თანაც
საჩქაროა. Paul Peeters-ი უკვე დაკითხვას მიგზავნის, ყოველ დღე
ველი, არ მომსვლია, არ ვიცი, რას ნიშნავსო. მაშ ეგრე მოეწყოს

საქმე, როგორც მივწერე კიდევაც ბ-ნ ა. ჟორჯოლიანს: 1) ჩემ მიერ შესწორებულ ფრანგულ თარგმანს გადააწერინებს და პირს, ბეჯითათ შედარებულს დედანსე, გაუგზავნის R. P. Paul Peeters-ს (Belgique, Bruxelles, 23 Bd st—Michel). 2) მასვე გაეგზავნება ჩემგან შესწორებული ხელნაწერი თარგმნის აქიდან გამოგზავნილი, თუ პირში რაიმე საეჭვო დარჩა, იმის შესადარებლათ და ქართული დედანი. 3) წინასიტყვაობას P. Peeters მიიღებს რა, უკვე აქედან ვუგზავნი ფრანგულათ შედგენილს, შეასრულებს, და თან დააყოლებს თვით ლექციას. 4) პეტერსიდან დაბრუნებულ პირს შესწორებებით გადააწერიებთ და ასაწყობათ სტამბაში მისცემთ. კორექტურას P. Peeters გაატარებს ერთს მაინც. 5) ერთი კიდევ, თუ მოხერხდება, შესწორებული პეტერსიდან მიღებული ცალის პირს გამომიგზავნით ან უკვე აწყობილს, განსაკუთრებით სავალალო შეცდომების გასწორებით დაუყონებლივ დაგიბრუნებთ, ოცი ან ოცდაორი დღე მოუნდება სულ გზით. 6) რომ დაიბეჭდება რამოდენიმე ცალი მე გამომიგზავნეთ, რამოდენიმე Prof. Braun-ს (Leipzig, König-Johann Str. 15—1) და ზოგი სხვას (მათ სიას შემოგითვლი) თითო ცალი მეცნიერებს და ბიბლიოთეკებს

თქვენი ერთგული

ბ. მარო.

* * *

24 აგვ. 1924

В. О., 7л., д. 2, кв. 17

Яфетический институт Академии наук.

ძმარ დავით, ძალიან მაწუხებს ჩემი ლექციის თავგადასავალი, იბეჭდება თუ არა, და თუ იბეჭდება, რანაირათ, ნამეტარ ძნელ საგანს წარმოადგენდა მისი მართებულათ გამოცემის საქმე, ვის მიანდვეთ გასწორება ენის და უკანასკნელი კორექტურა ფრანგულის მხრით განსაკუთრებით, პეტერსმა მიიღო მონაწილეობა თუ არა, მე არაფრის შესახებ არავითარი ცნობა არა მაქვს მიღებული, თუ გამოცემა ამდენხან გამიჭიანურდა, იქნებ მაწვდნთ აქ კორექტურას, მე-10 დღეზე მოდის და დიდხანს არ დავიჭერ. ყოველ შემთხვევაში იმეღია, თქვენც და ბ-ნი ა. ჟორჯოლიანიც არაფერს დაზოგავთ, რომ რიგზე მოწყობილათ დამთავრდეს საქმე. წერილით

მაინც მაუწყეთ ვითარება, ან ქართულ დედანს რა მოეღოს, ნუ და-
 შიკარგავთ მაინც ნაშრომს და თუ გამომიგზავნით, აკადემიის ზე-
 ვით ჩვენებულნი აღრესით თან ჩემი გვარის სსენებით გამომიგზავ-
 ნეთ. — კბ-ნს სოლოროვას ვულითადი სალამი ჩვენი საერთო,
 მეუღლისგანაც, რომელიც, თქვენც ცალკე მოგიკითხავსთ. — აქ
 ბევრი რამ აღმოვაჩინე (გარდა იმ ბეზღვა-შაირებისა, რომლის
 წერაში ახლა ვარჯიშობა დაუწყიათ თფილ. უნივერსიტის გამოცემებში
 ჩემ შავირდებს, უკეთ — ყოფილ შავ.), პალეონტოლოგიაში მო-
 ულოდნელ წერტილს მივაწიე, წარმოიდგინეთ, ტრისტან-ისოლდის
 ამბავი არა თუ მარტო სიმართლე გამოდგა, მისი, ისოლდეს ან
 Isoull'-ის პირვანდელი სახეც აღმოვაჩინე, თურმე ეგ სიყვარულის
 ტანჯული გმირი ქალი სიყვარულის ღმერთა ყოფილა, აღმოსავლე-
 თის ვენერა, იშტარათ სახელდებული. ადრე „ცა-წყალი“. აქ ძალიან
 მენატრება პარიზის მზე და ჩემი ძიებისთვის საფრანგეთ-ესპანე-
 თის შესახებ მოწყობილება. აღმოჩენანი და ვერ ბეჭდვანი, ესეც
 ზომ ძალიან მამრკოლებს.

თქვენი პატივისმცემელი და პასუხის მომლოდინე

ნ. მარტი.



თეორიის ახალ-ახალი მიწევნილობანი ბევრია, ერთი მათგანი
 უდიადესი. ვეცდები ვაწვდინო ცნობა და ან დაბეჭდილი რამე გა-
 მოგვზავნო. ვაპირებ საქართველოში გამგზავრებას საშობოთ. თქვე-
 ნი ერთგული. მაცნობეთ რა მდგომარეობაშია ბეჭდვა.

პატივისმცემელი თქვენი

მუღამ

ნიკო მარტი,